# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-111

05/02/2019 ქ. თბილისი

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „TOPGEO“-ს მდინარე გუბაზეულზე 3,08 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხევი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, შპს „TOPGEO“-ს მდინარე გუბაზეულზე 3,08 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხევი ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N8 (25.01.2019წ.);
2. შპს „TOPGEO'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N8 (25.01.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს„TOPGEO“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „TOPGEO“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი